ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 166

ხუთშაბათი, 5 აგვისტო, 1899 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1899

ივერია

№ 166

ხუთშაბათი, 5 აგვისტო, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ქვრივი **პეპე შარაშიძისა** და აზ. **რაფიელ** ვახტანგის ძე **შარაშიძე**, გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა პირველი უსაყვარლესის შვილისას და მეორე ძვირფასი ძმისას

დიომიდე ვახტანგის ძის შარაშიძისას,

რომელიც სწავლობდა ბესარაბიის სამეღვინეო სასწავლებელში, ქ. კიშინოვში, სთხოვენ მობრძანდნენ განსვენებულის დასაფლავების დღეს, ხუთს აგვისტოს, ხუთშაბათს, დილის ცხრა საათზედ, მათს საკუთარს სახლში, სოფ. ციხეს, ოზურგეთის მაზრაში. (1—119—1)

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეთვრამეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1899—1900 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა-გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და მთის ქუჩაზედ, აფთიაქის ბირდაპირ.

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. ზ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—15)

მარხაანის მომხმარებელ საზოგადოების გამგეობა

ამითი აცხადებს, რომ ამა წლის 8 მარიამობისთვეს სოფ. ქვემო-მარხაანში დანიშნულია სხენებულ საზოგადოების წევრთა

წლიური კრება. (2—6.—2)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ფ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ა. ზ. კარაშეტიანცი. 1—$1\frac{1}{2}$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. $1\frac{1}{2}$—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

ზ. ა. ნავასარდიანი $7\frac{1}{2}$—8 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(—1—წ).

მთავრობის განკარგულებანი.

იბოძათ: დამსახურების გამო კოლეჟსკი სეკრეტრობა გუბერნსკი სეკრეტარს ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოსამსახურეს შანიძეს; მკერდის მედლები წარწერით „სიმამაცისათვის“—ბათუმის მუდმივის პოლიციის მოხელეთ მილიციონერთ აბდულკეჟენდი მიქელაძეს, ნიკოლოზ ლორთქიფანიძეს და მამედ-ჰუსეინ-ოღლი ფაფუნიძეს; სკუფია—სალიანის სათადარიგო ჯარის მღვდელს იოანე ლიაძეს და ასლან-დუზის სათადარიგო ბატალიონის მღვდელს ილია დეკანოზიშვილს.

ახალი ამბავი

⁂ ქალაქის შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქმნას ტფილისში დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძის სახელზედ ოთხკლასიანი საქალაქო სასწავლებელი, გარდაეცა თავისის აზრის გამოსათქმელად კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს.

⁂ ამ ჟამად ტფილისის საგუბერნიო ადმინისტრაცია უკვე შესდგომია მომავალ 3 წლის საადგილ-მამულო გარდასახადის გაწერას, რომელიც დამთავრების შემდეგ დასამტკიცებლად წარედგინება კავკასიის უმაღლესს მთავრობას.

⁂ ქალაქის გამგეობაში ხელმეორედ აღიძრა ლაპარაკი ქალაქში ახალ საბაზრო ადგილების დაწესების შესახებ.

⁂ ფოთის სატუსაღოს ზედამხედველად, ბ-ნის სმირნოვის მაგივრად, რომელიც დათხოვნილ იქმნა ამ თანამდებობიდგან სამსახურში უკანონობის ჩადენის გამო, დანიშნულია ბ-ნი შათირიშვილი.

⁂ ბელგიის ერთ საზოგადოებას წინადადება მიუცია ბათუმის მოურავის მოადგილესათვის, ჩემს ხარჯზედ გავიყვან ბათუმში ცხენის რკინის გზას, წყლის მილებს და „კურზალს“ გავმართავ ქალაქის ბაღშიო.

⁂ იმ საბაღოსნო გამოფენების დროს, რომლებიც განზრახულია მომავალ შემოდგომისათვის ბაქოსა და სოხუმში, გაიმართება ლექციების კითხვა ბაღოსნობისა, მებოსტნეობისა და მევენახეობის შესახებ.

⁂ როგორც პეტერბურგიდგან მოსულ ოფიციალურ ცნობებიდგან სჩანს, ამიერ-კავკასიის რკინის გზის ერევნის შტოს მიმართულება უკვე საბოლოოდ არის დადგენილი. ერევანი არ იქმნება უმთავრეს გზაზედ, არამედ მოშორებული იქმნება მისგან 12 ვერსის მანძილზედ.

⁂ გორის ქალაქის გამგეობა შუამდგომლობს საგუბერნიო მთავრობის წინაშე, ნება მოგვეცით, რომ ქალაქის ფულით გავაუმჯობესოთ და უკეთესად მოვაწყოთ ქალაქის საყასბოო.

⁂ დღემდე საბჭოს მკურნალთ უფასოდ შეეძლოთ ცხენის რკინის გზით მგზავრობა; გასულ თვიდგან-კი მათ ქალაქის გამგეობამ მოუსპო უფასო ბილეთები ცხენის რკინის გზაზედ.

⁂ რამდენსამე ინტელიგენტს შუამდგომლობა აღუძრავს ს. გლდანში უფასო სახალხო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს დაარსების შესახებ.

⁂ 2 აგვისტოს, ღამით, სადგ. შორაპნის მახლობლად დაიმტვრა საქონლის მატარებელი. 4 ვაგონი მთლად დაიმსხვრა, 6 ვაგონი ლიანდაგიდგან გადავარდა. 4 კონდუქტორი მსუბუქად დაშავდა. გზა გასწმინდეს 3 აგვისტოს შუადღემდე. ამ შემთხვევის გამო ბათუმის დილის მატარებელი გვიან მოვიდა ტფილისში.

⁂ გვალვა ართვინის ოლქში ჯერ კიდევ არ მოსპობილა და ძალიან თურმე აფუჭებს სიმინდს, ვენახს და ხილეულობას. „ჩერნ. ვ.“-ის სიტყვით, წელს მოუსავლობის გამო ადგილობრივ მცხოვრებთ დახმარება დასჭირდებათ მთავრობისაგან.

⁂ იმავე გაზეთის სიტყვით, ართვინის ოლქის არდონუჩის ნაწილის უფროსი პორუჩიკი ლისოვსკი საგუბერნიო მთავრობის განკარგულებით გაგზავნილია ქუთაისში პოლიცმეისტრის თანამდებობის აღმასრულებლად.

⁂ „კავკას“-ში სწერია: „საჭიროა, ყურადღება მიექცეს იმ გარემოებას, თუ ბელგიის მდიდარი საზოგადოება, რომელსაც ბ-ნი რობი ჰყავს წარმომადგენლად, როგორ ექცევა ცხენის რკინის გზის მოსამსახურეთ. ქალაქის შუა-გულ, სანიშნებელ სვეტთან, სასახლის ქუჩის თავში, მუდამ ამ ცხენის რკინის გზის ერთი დარაჯია, რომელსაც არა აქვს არავითარი დახურული სადგომი. ყოველ გვარ ამინდში მის ერთად-ერთ მისაყრდნობს შეადგენს სვეტთან დადგმული ძველი სკამი. ამ კაცის ტანისამოსი უფრო მთხოვარის კონკებს ჰგავს. თითქმის „კონკის“ ჭუჭყიანი მეეტლენი-კი, მასთან შედარებით, კოხტად არიან მორთულნი. წვიმაში-კი ამაზედ უარესს მდგომარეობაში იმყოფებიან ის მოსამსახურენიც, რომელნიც სასახლის ქუჩის მეორე თავში და ზოგიერთ სხვა ქუჩაში ცხენებს აბამენ ვაგონებში. ამათ სკამიც-კი არა აქვთ და დასასვენებლად პირ-და პირ ქუჩაზედ წვებიან.“

ბ-ნს რობის რომ თავისს „მოსამსახურეებისათვის“ იმის მესამედი ყურადღება მაინც მიექცია, რამდენსაც თავისს ცხენებზედ ზრუნავს, მაშინ მათი მდგომარეობა დღევანდელზედ გაცილებით უმჯობესი იქნებოდა. მაგრამ ცხენები საკუთრებაა და იმათი უფლება დიდ ზარალს მისცემს, მოსამსახურენი-კი რაში ენაღვლება, რომელიც აღარ გამოდგება, იმას დაითხოვს და სხვას დაიჭერს. სწორედ ამიტომ მოსამსახურებს გამუდმებით ამუშავებენ ხშირად 17—18 საათს, მაშინ როდესაც იმავე საზოგადოების ცხენებს მოსვენება ეძლევათ ყოველ სამ საათში.

⁂ როგორც გაზეთები იუწყებიან ტფილისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებამ ცნობა მიიღო საკრედიტო ნაწილის განსაკუთრებულ კანცელარიიდგან, რომ ფინანსთა სამინისტრომ შეიწყნარა საზოგადოების შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ამ საზოგადოებამ კრედიტი გაუხსნას, წევრებს გარდა, გარეშე კაცთ და დაწესებულებათაც.

⁂ გაზ. „მშაკი“ დ. ჯელალ-ოღლიდგან აუწყებენ, რომ ლორიის ნაწილის რამდენისამე სოფლის გლეხთ შეტაკება მოუვიდათ ადგილობრივ მემამულეებთან და ეჩმიაძინის მონასტრის მამულის „მარცის“ მოურავთან. შეტაკების მიზეზი ყოფილა ის გარემოება, რომ ხსენებულ მემამულეთ და მოურავს გლეხთათვის გარდასახადები მოუმატნიათ.

⁂ ს. ვაჟა, (გორის მაზრა). 1-ლ აგვისტოს, ღამის 12 საათზედ, ცეცხლი გაუჩნდა თავ. ლუარსაბ ბეგთაბეგოვის ჭირნახულსა და ძნებს. ზარალი უდრის ორას თუმანს.

⁂ ფოთი. 1 აგვისტოს, კლუბის დარბაზში ქუთაისის ქართულ დრამატიულ დასისაგან, ვ. ს. ალექსეევ-მესხიშვილის მონაწილეობით, წარმოდგენილ იქმნა ურიელ-აკოსტა, ტრაგედია 5 მოქმედებად, ებრაელთა ცხოვრებიდგან, თარგმანი ლექსად ი. ბაქრაძისა. საზოგადოდ წარმოდგენამ მწყობრად და ლამაზად ჩაიარა. საზოგადოება მეტად ასიამოვნა და აღტაცებაში მოიყვანა ბ. ალექსეევ-მესხიშვილის და ქ. ჩხეიძის საუცხოვო თამაშმა, უკანასკნელს ახალგაზდობამ მშვენიერი თაიგული მიართვა. წარმოდგენას საზოგადოება ბლომად დაესწრო.

ორშაბათს, 2 აგვისტოს ნაშუადღევს, ჩვენს ქალაქს დიდი უბედურება ეწვია. ცეცხლმა სულ ერთიანად გადაბუგა ბაზრის შუა გულის დამამშვენებელი მაღაზიები, რიცხვით 26. ცეცხლმა პირველად ე. თურქიას რკინის მაღაზიაში იჩინა თავი და რადგან დროზედ მშველელი არავინ გაუჩნდა, მთელი მაღაზიები, საქონლით გამოტენილი, სულ ნაცრად აქცია. გვიან მოიტანეს ცეცხლის საქრობი მანქანა, მაგრამ მაშინაც გაუჭირდა წყლის შოვნა. ქალაქს საკუთარი ცეცხლის დამქრობი რაზმი და არც წყლის მომტანი არავინა ჰყავს. როგორც ამბობენ, ზარალი 250,000 მ. უნდა აღემატებოდესო. შენობის გარდა საქონელი ბევრს დაუზღვეველი ჰქონია.

⁂ რადგან აჭალაში ახლად დადგმულ ორთქლის მანქანის შემწეობით, ქალაქის წყლის მილებში წყალმა შესამჩნევად იმატა, ამის გამო ქალაქის გამგეობამ შესაძლებლად სცნო ნება დაერთოთ გაიყვანონ სახლებში ახალი წყლის მილები.

⁂ საზოგადო საბანაო, რომელიც წყლის განსაცდელისაგან დამხსნელმა საზოგადოებამ გამართა მტკვარზედ, სრულიად მზად არის, მაგრამ საზოგადოებისათვის ის გაიხსნება ტეხნიკოსთა და პოლიციისაგან დათვალიერებისა და კურთხევის შემდეგ. საბანაოში დაეტევა არა ნაკლებ 50 მობანავისა და ბანაობა შეეძლებათ როგორც მამაკაცებს, ისე დედაკაცებს.

⁂ ქალაქის საქიმიო ლაბორატორიაში დამთავრდა „კვასების“ განხილვა-შემოწმება. არავითარი მავნებელი ნივთიერება კვასებში არ აღმოჩნდა.

ამ კრებაზედ. ბევრი სიყალბე, ვერაგობა და უსამართლობა თამბაქოს მოვაჭრეების მხრივ გამოაშკარავდა და აღინიშნა აქ, დიდი იმედი გაგვიღვიძა გულში საზოგადოდ ამ კრებამ. ხალხს გაუღვიძნია, ხალხი ბჭობს, ხალხი ფიქრობს და აკვირდება თავისს ყოფა-ცხოვრება-მდგომარეობას. განა ცოტა რამეს მოასწავებელია ეს?! კითხვა შესახებ თამბაქოს საწყობის დაარსებისა არ ახალია, ძველია ქიზიყში. ეს აღიძრა ჩვენში ამ ორი წლის წინად. 1897 წელს ქიზიყის მეთამბაქოეთაგან იყვნენ გაგზავნილნი წარმომადგენელნი ტფილისის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებაში, სადაც სხვა ჩვენი ქვეყნის მეთამბაქოეთა წარმომადგენლებთან და საზოგადოების წევრებთან ერთად მიიღეს მონაწილეობა ამ კითხვის ბჭობა-მოსაზრებაში. ამის შესახებ წესდებაც სრულებით გამოკვლეული და შედგენილი არის სამეურნეო საზოგადოების მიერ. თვით თქვენა უმორჩილესი ყმა იყო იმ კამისიის წევრი, რომელსაც ჰქონდა მინდობილი ამ წესდების შედგენა.

ქიზიყის თამბაქოც, როგორათაც მატული, ერთი საუკეთესო ღირსების საქონლად არის ცნობილი, რომელსაც შეედრება მხოლოდ ერთად ერთი სოხუმის მხრის თამბაქო. მაგრამ თამბაქოს მექარხნეთა და მოვაჭრეთა წყალობით დღეს ეს საქმე ცოტა ხეირს აძლევს სოფლის მეურნეთ. ადგილობრივ თამბაქოს ქარხნის პატრონებს ისევე ჰყავთ თამბაქოს პატრონები დაყოფილნი, როგორც მღვდლებს მრევლი, როგორ შეუძლიან ვინმე ერთ მრევლთაგანს მეორეში გადასვლა, იმან ხომ მამის თამბაქოს წარმოებაზედ ხელი უნდა აიღოს სრულებით.

ამ უწეს-რიგობის საბოლოოდ მოსასპობად მეთამბაქოეთა კრებამ ერთხმად გარდასწყვიტა დაარსოს ეხლავე ქალაქ ტფილისში საკუთარი თამბაქოს საწყობი, რისთვისაც შედგენილი იქმნება ორი ხელშეკრულობის ქაღალდი. მოთავედ ამ საქმისათვის ამორჩეულ იქმნენ შემდეგნი: მაზრის უფროსი გ. ზ. შანშიევი, ა. ი. ნატროშვილი, ნ. დ. თ. ერისთავი და ნ. დ. ნადირაძე. ესენი დღეიდგანვე უნდა შეუდგნენ საქმეს და დაიქირავონ ტფილისში თამბაქოსათვის საწყობი, ან ააშენონ, უკეთუ ეს სახეირო იქნება ამხანაგობისათვის. ამხანაგობამ ის აზრიც გამოსთქვა, რომ ერთ შენობაში მოთავსდეს ქიზიყის მატული და თამბაქო, თუ მოხერხდება და მეცხვარეთა ამხანაგობაც დათანხმდება. ამავე რწმუნებულს კაცებს მიანდო, იშუამდგომლონ ტფილისის რომელსამე ბანკის, ანუ საკრედიტო დაწესებულებასთან, რათა სარგებლით მიეცეს მეთამბაქოეთა ამხანაგობას, მეთამბაქოეთა ურთი-ერთის თავდებობით და თამბაქოს დაგირავებით, საჭირო ამ საქმის განსახორციელებლად ფული. ამ ხელშეკრულობის ქაღალდზედ ხელი უწერიათ შემდეგ სოფლის მეთამბაქოებს: ასანურისას, კაქირ-საქობოსას, მაშნაარისას, ჯუგაანისას და ქვემო-მაჩხაანისას.—

ა. ნატროშვილი.

◆

რუსეთი

— ვარშავის გაზეთებში აღნიშნულია, რომ მომავალ 1900 წელს ძველის კალენდრით თებერვლის თვეში 29 დღე იქნება, ხოლო გრიგორიანთ (ე. ი. ახალს) კალენდარში-კი—28 დღე, რადგან გრიგორიანთა კალენდრით ყოველ 100 წლის შემდეგ თითო დღე აკლდება თებერვალს. ვარშავის გაზეთებს ეს ამბავი იმის გამო აღუნიშნავთ, რომ ამ ჟამად უკვე გაჩნდა ისეთი თამასუქები, რომლებზედაც ფულის გარდახდის ვადად ნაჩვენებია 1900 წლის 29 თებერვალი.

— რკინის გზათა უწყებაში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ შეღავათი მიეცეთ რკინის გზებით მგზავრობისათვის სულით ავადმყოფთ და მათ მხლებელთ.

— სამოსწავლო უწყებამ ყურადღება მიაქცია წიგნის მაღაზიების რეკლამებს და განზრახვა აქვს ზომები მიიღოს მოსწავლეთა დასაცველად ამ მაღაზიების პატრონთა მძარცველობისაგან.

— გამოცხადებულია, რომ ტაგანროგში დაარსებულ იქმნება საშუალო 8-კლასიანი სატეხნიკო სასწავლებელი დაბალ სამეურნეო სკოლით.

— თხოვნების მიღება პეტერბურგის უმაღლეს საქალებო კურსებზედ შესვლის მსურველთაგან გასტანს 10 აგვისტომდე.

— სასულიერო მთავრობამ განმარტა, რომ ბლაღოჩინისა, გამომძიებლისა და მოძღვრის თანამდებობა შეიძლება მიეცეთ მხოლოდ ისეთ პირთ, რომელთაც სასამართლოს-მიერ სასჯელი რამ არა ჰქონიათ გარდაწყვეტილი.

— გამოქვეყნებულ იქმნა უმაღლესი ბრძანება სამხედრო ბეგარის გარდახდის შესახებ უმაღლეს სასწავლებლების იმ მოსწავლეთა მიერ, რომელნიც დათხოვნილი იქმნებიან სასწავლებლებიდგან არეულობის მოხდენის გამო. დროებითი წესები ამის შესახებ ათის მუხლისაგან შესდგება, რომელთაგან ორი შემდეგია: 1, უმაღლესს სასწავლებლების მოსწავლენი არეულობის მოხდენისათვის სასწავლებლებში ან იმათ გარეშე, სხვათა წაქეზებისათვის ასეთ არეულობის მოსახდენად, ერთმანეთს შორის პირის შეკვრით სწავლაზედ ხელის აღებისათვის დათხოვნილ უნდა იქმნენ სასწავლებლიდგან და ჩარიცხულ იქმენ ჯარში სამხედრო ბეგარის გარდასახდელად, სულ ერთია თუნდაც რომ ამ შემთხვევაში ლგოტა ჰქონდეთ მინიჭებული, ან ჯერ არ იყვნენ კენჭის ამოსაღებად გაწვეულნი ან კენჭი უკვე ამოიღეს და ისეთი ნომერი შეხვდათ, რომელიც ბეგარისაგან ანთავისუფლებს მათ. 2, იმ საქმეების განსახილველად, რომელიც აღნიშნულია პირველ მუხლში, ყოველს უმაღლეს სასწავლებელთან არსდება განსაკუთრებული საბჭო, რომელიც უნდა შესდგეს ამ სასწავლებლის პედაგოგებისაგან და სამხედრო, შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრების წარმომადგენელთაგან.

— გზათა მინისტრის განკარგულებით შესდგა განსაკუთრებული კომისია, რომელმაც დაწვრილებით უნდა გამოიკვლიოს და შეისწავლოს ის, თუ რა მდგომარეობაშია ამ ჟამად სატყეო მეურნეობა, ხე-ტყის ვაჭრობა, ტყის რაოდენობა და სხვა რუსეთში. კომისიაში ფინანსთა და მეურნეობის სამინისტროების წარმომადგენელნიც არიან.

◆

უცხოეთი

საფრანგეთი. დრეიფუსის მომხრეებზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა რენის სასამართლოს პირველ დღის სხდომამ. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ სასამართლოს თავმჯდომარე პოლკოვნიკი ჟუო თუმცა ერთობ მკაცრად ეპყრობოდა დამნაშავესა, მაგრამ რომ არ გაამართლოს, არ შეიძლება. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ დრეიფუსის მომხრენი და კარგ მომასწავებლად მიაჩნიათ ის გარემოება, რომ სასამართლოს ორი წევრი წინააღმდეგი იყო,—საიდუმლო dossier-ი გარეშე ხალხის დაუსწრებლად გაერჩია სასამართლოს. აქედგან ის დასკვნა გამოჰყავთ, რომ ეს ორი კაცი დრეიფუსის გამართლებას არის მოწადინებული. თუ ამ ორ კაცს კიდევ მესამეც მიემატა,—ამბობენ დრეიფუსის მეგობრები,—საქმე მოგებულად უნდა ჩაითვალოს კანონით, რადგან ოთხი მოსამართლის ხმა სამის წინააღმდეგ, ე. ი. ერთი მომეტებული ხმა, საკმარისი არ არის სასამართლოსათვის ბრალდებული დამნაშავედ იქმნას აღიარებული.

—

ავსტრო-უნგრეთი. „Neue Armee Ztg.“-ში დაბეჭდილი ყოფილა ერთი წერილი, რომელიც, როგორც ამბობენ, ერთს გამოჩენილ კაცს ეკუთვნის. ავტორი წერილისა ამტკიცებს, რომ მოუცილებელ საჭიროებას შეადგენს ავსტრო-უნგრეთის ცხენოსან ჯარის რიცხვი დაუყოვნებლად გაძლიერებულ იქმნესო. მისის სიტყვით, უკანასკნელ 20 წლის განმავლობაში ავსტრო-უნგრეთის ქვეითა ჯარს მიემატება 106 ახალი ბატალიონი, ხოლო ბატარეას—800 ახალი ზარბაზანი, მაშინ როდესაც, ამავე დროს განმავლობაში ცხენოსან ჯარს მიემატება მხოლოდ 6 ესკადრონი. ამ უსწორ მასწორობის გასასწორებლად, წერილის ავტორი ურჩევს ავსტრო-უნგრეთის მთავრობას ეხლავე იქმნას მიღებული ღონისძიებანი, რათა ცხენოსან ჯარს 30 ესკადრონი, ე. ი. 5 პოლკი მაინც მიემატოს. ეხლა რომ ომი ასტყდესო,—ამბობს ავტორი,—ჩვენი ცხენოსანი ჯარი ერთს მხედარსაც ვერ გადინარჩუნებს სათადარიგოთო.

—

სერბია. სერბიის მთავრობას უთხოვნია რუმინიის მთავრობისათვის, რომ მოეცა სერბიის საელჩოს დრაგომანი (თარჯიმანი) ბუხარესტში—

იძულა. მამაჩემს ემიგრანტებთან შეთქმულობაში მონაწილეობის მიღება შესწამეს და დააპატიმრეს. სარევოლიუციო სასამართლომ თავ-საკვეთზედ დასჯა მიუსაჯა. მე გადავწყვიტე ან გადამერჩინა მამაჩემი სიკვდილისაგან, ან მეც მასთან დავღუპულიყავ. გარდავწყვიტე და შევასრულე კიდეც. წაველი პარიჟში, მაგრამ არ ვიცოდი ვის უფრო მეტი ძალა და გავლენა ჰქონდა იმ ხანად, არ ვიცოდი ვისთვის მიმემართა. მე მირჩიეს კლემან ჟავერენისთვის მიმემართა, რომელიც იმ ხანად კონვენტის ***) წევრად ითვლებოდა.

— კლემან ჟავერენი! ტერრორისტი!****) შეჰყვირა ალბერმა,—მერე და გაჰბედეთ მაგ არა კაცისათვის მიგემართათ?

— მაშ რა უნდა მექნა, როდესაც ამის მეტი სხვა სახსარი აღარა დამრჩენოდა რა. ის ჩვენებურია, ჩვენის ოლქის დეპუტატი; ერთ დროს კარგად ვიცნობდით. მაშინვე გავქანდი იმისკენ. ჯერ-კი შეუბრალებლად მომექცა, არ მიგდო ყური, მაგრამ ბოლოს მოულბა გული რობესპიერთან შუამდგომლობას დამპირდა. როცა ის ამას მპირდებოდა, მეგონა შევებრალე და ჩემს უბედურებაში მონაწილეობას იღებს მეთქი, მაგრამ ბოლოს,—ბოლოს-კი დავრწმუნდი, რომ ეს ასე არ იყო. მეორედ რომ მიველ იმასთან, გამომიცხადა გადაჭრით, რომ მხოლოდ ის პირობით ეცდებოდა მამი ჩემის განთავისუფლებას, თუ მე ცოლად გავყვებოდი. ბევრი თავში ქვა ვიხალე, ბევრი ვემუდარე, ერთ ჟამს დავემუქრე კიდეც, მაგრამ ამაოდ, ის თავისს სიტყვას არ გადადიოდა. მამაჩემი განათავისუფლეს, მაგრამ მე კი გავუბედურდი—კლემან ჟავერენის ცოლი შევიქენ.

— მერე, მამა თქვენი როგორ დასთანხმდა მაგ საზიზღარ პირობას?

— არაფერი გავაგებინე. იმან მხოლოდ მაშინ შეიტყო ეს ამბავი, როცა გვიან-ღა იყო, საქმეს აღარა ეშველებოდა რა. ამ ამბავმა თავს ზარი დასცა საბრალო მამას. ხედავდა-რა ჩემს უბედურებას, დარდს და ნაღველს ვეღარ გაუძლო საბრალომ და რამდენიმე თვის შემდეგ თან გადაჰყვა.

აქ მღელვარებამ კრიჭა შეუკრა საბრალო ქალს და კარგა ხანმა განვლო, ვიდრე სულს მოიბრუნებდა და შეიძლებდა ლაპარაკის განგრძობას.

— ალბერ, ახლა ხომ დარწმუნდით, რომ თქვენი აქ დამალვა შეუძლებელია. ჟავერენმა თუ გაიგო თქვენი აქ ყოფნა, იქამდის არ მოისვენებს, ვიდრე არ დაგაჭერინებთ.

— საიდგან მიცნობს? განა გაგებული აქვს ჩემი თქვენდა მიმართ სიყვარული, ან ის, რომ ოდესღაც ჩემი საცოლე იყავი?

— არა, ეგ არ იცის.

— მაშ რაღად გამთქვამს?

— იმად, რომ კვლავ დაიმსახუროს ყურადღება პირველის კონსულისა და თავის ერთგულება დაუმტკიცოს. ის კონსულის ერთი ურთგულესი მონაა. წადით, ალბერ, ღვთის გულისათვის წადით! ევედრებოდა კლარი. ყოველს წუთს ჟავერენი შეიძლება აქ გაჩნდეს, ან კიდევ სხვამ ვინმემ დაგინახოთ და მაშინ დაიღუპებით. გასწით,გაიქეცით, ღმერთი იყოს თქვენი შემწე.

მაგრამ ამაოდ. იმის მაგივრად, რომ დამორჩილებოდა ამ გულწრფელს რჩევას ქალისას, კაცი ჩამოჯდა ქვაზედ, რომელიც ციხე-დარბაზის შესავალში იდგა, სწორედ იმ ალაგას, სადაც ამ რამდენისამე წუთის წინად კლარი იჯდა, და დაქანცული კედლებს მიეყრდნო. ქალს უნდოდა წინააღმდეგობა გაეწია, მაგრამ კაცმა შეაჩერა.

— ტყუილად ირჯებით! სიარულის თავი აღარა მაქვს. მეტის-მეტ დაღალულობისა და შიმშილისაგან მუხლები მეკვეთება. წადით სახლში, მე-კი აქედან ფეხსაც არ მოვიცვლი, დაე რაც უნდა მომივიდეს. წაბარბაცდა და წაიქცეოდა კიდეც, რომ ისევ კედელს არ მიჰყუდებოდა. იდგა ასე, დაღალულობისაგან ძლივს-ღა იბრუნებდა სულს და უაზროდ გასცქეროდა სადღაც შორს ბნელით მოცულს სივრცეში.

კლარი იდგა გაშტერებული და თავ-გზა-დაბნეულს ვეღარა მოეაზრებინა-რა. იგი სასოწარკვეთილებით მისჩერებოდა ამ კაცს, რომლის ნახვამ ასე აღელვა, კვლავ გაუცხოველა გრძნობა, გადმოუჩიჩქნა გულის დაკოდილი იარა, რომელიც დროთა სვლას ცოტაოდნად შეეხორცებინა, და კვლავ აგრძნობინა, ახალის ძალით, ის აუტანელი ტანჯვა-წამება, ტკივილები, რომელთაც საკმაოდ ღრმათ დაესერათ და თავისი დაღი დაესვა მის მშვენიერს შუბლზედ. ქალს თავ-ბრუ დაესხა, მუხლები ეკვეთებოდა და ის იყო უნდა წაქცეულიყო, რომ დაჰქროლა ცივმა ნიავმა და გახურებული შუბლი ცოტაოდნად გაუგრილა. გონს მოვიდა, ძალზედ შეისუნთქა რამდენჯერმე გამაცოცხლებელი ნიავი, წელში გასწორდა და ხმის ამოღება ძლივს მოახერხა!

— ხომ არავინ შეგხვედრიათ, აქ რომ მოდიოდით?—ჰკითხა ქალმა.

— არა და მგონი არც არავის დაუნახივარ.

— მაშ წამოდით, ვეცდები დაგიხსნათ და ამისთვის ჩემის თავის გაწირვაც-კი რომ დამჭირდეს, მაინც არ დავიწევ უკან. წავიდეთ!

— რა გინდათ ჰქნათ? ჰკითხა იმან.

— ხვალამდის დაგმალავთ,—და ქალმა თითქმის ბრძანების კილოთი განუმეორა, — წავიდეთ!

ქალმა მოჰკიდა ხელი ალბერს და გაემართა შინისაკენ. იმათ შეუმჩნევლად, სიფრთხილით გაიარეს ჩამობნელებული ხეივანი და მაღალს, ფართო დერეფანში შევიდნენ. აქაც ისევ ბნელოდა და ეს გარემოება უფრო ხელს უწყობდა. დერეფნის ბოლოში, ოთახის ნახევრად გაღებულს კარებიდგან სანთლის შუქი გამოდიოდა. ეს იყო დიდი დარბაზი, სადაც მსახურთ გაეშალათ სუფრა და ჭურჭელს ალაგებდნენ. ალბერ დესენფრემონმა მიიხედ-მოიხედა ირგვლივ და ოთახის სიღრმეში განიერის კიბის საფეხურები გაარჩია. კლარიმ ჩურჩულით გააფრთხილა და თან კიბისაკენ მიუთითა, რომელზედაც შეუმჩნევლად უნდა აპარულიყვნენ. ისინი ფეხ-აკრეფით გაემართნენ კიბისკენ.

— მადლობა ღმერთს, ახლა-კი აღარა გვიჭირს-რა, — წასჩურჩულა კლარიმ, როცა კიბეს მიაღწიეს.

ისინი ამავე სიფრთხილით აიპარნენ კიბეზედაც და წუთს შემდეგ პირველ სართულში მოექცნენ. აქ კი თითქმის წაათრია კლარიმ ალბერი და წუთს შემდეგ ერთს ოთახში შეაგდო.

— აქ მომიცადეთ, წასჩურჩულა ქალმა,—აქ უშიშარ ალაგსა ხართ.

ა. წინამძღვრიშვილი.

(შემდეგი იქნება).

***) კონვენტი.—კრება რომელისამე მონასტრის ბერ-მონაზონთა, საფრანგეთის საერო კონვენტი დაარსდა 10 მარიამობისთვეს 1792 წ.

****) ტერრორისტი—ტერრორიზმის მომ

მეაბრეშუმეობა საქართველოში.

(წერილი გურიიდგან)

(დასასრული *)

წელს შარშანდელზე გაცილებით მეტს დაურჩა ნაყიდი აბრეშუმის თესლი და, რასაკვირველია, ბევრმაც გამოიყვანა ჭიები. არ დარჩენილა არავინ, რომ ჭიების მოვლა-გამოკვებით ოზურგეთში და იმის ახლომახლო სოფლებში საქმე არ გაეჩინოთ: შეძლებული და ღარიბი, უსაქმო და საქმიანი, ბჟოლების მქონე და არ-მქონე—ყველამ მეაბრეშუმეობას მიჰყო ხელი. ზოგმა იმდენად ნივთიერ შეძენისათვის-კი არ დაისვა ჭიები, რამდენადაც გართობა სიამოვნებისათვის. თუ-კი ნადირობა-თევზაობა აძლევს ადამიანს სიამოვნებას, რატომ ამ ყოვლად უწყინარს მწერს არ შეუძლია იგივე. საზოგადოდ ჩვენში მეაბრეშუმეობა ძველ დროში და ეხლაც სრულიად ქალების ხელშია. ეს დარგი ჩვენებური მრეწველობისა დიდს საქმიანობაში აგდებს მშვენიერს სქესს ორი-სამი თვის განმავლობაში. აი სწორედ ამ დროსაა გურული ქალი მოსაწონი და არა მაშინ, როცა უსაქმურობა-ლაზღანდარობით დაქანცული უგულოდ ჩონგურს უკრავს ხოლმე.

აბრეშუმის მოსავალი წელს საშუალოზე უკეთესია გურიაში. ივნისის დამდეგში, როგორც ამბობენ, საზოგადო სასწორიც გაუმართავთ ოზურგეთში, ბ-ნ იოსებ ქუთათელაძის თაოსნობით. ტფილისში საბრეშუმო სადგურისა არ იყოს, მდაბიო ხალხის ყურამდის ასეთი ახალი საქმე გვიანამდინ არ მიაღწევს: ხალხი შეჩვეულს პირს ამჯობინებს ხოლმე შეუჩვეველს ლხინსა, იგი ისევ ნაცნობი ვაჭარისაკენ უფრო მიისწრაფვის, მაგრამ ეს გარემოება კიდევ გადამეტებით უნდა აიძულებდეს ხალხის გულშემატკივართ, საქმეს არ უსუსტონ.

აბრეშუმის კარგს მოსავალს დიდად შეუწყო ხელი ტაროსმაც. ელვა, ჭექა-ქუხილი ოცი მარტიდამ 20 მაისამდინ ისეთი არა ყოფილა, რომ რამე ვნება მიეცეს ჭიებისათვის. ბჟოლის ფოთლები წელს საკმაოდ გაშლილი იყო აპრილის პირველს რიცხვებში (1—5). უმეტესმა ნაწილმა მეაბრეშუმეებისამ გურიაში ჭიები გამოიყვანა თესლიდამ უფრო გვიან, ვინემ 1—5 აპრილს, რაიცა კარგი მოსავლისათვის საზარალოდ უნდა ჩაითვალოს. პარკს ფასი წელსაც მცირე ჰქონდა, როგორც შარშან, ზოგჯერ ნაკლებიც. მაშინ როდესაც ქუთაისში ფუთი პარკი, სოფლებიდამ შემოტანილი, იყიდებოდა 15 მან. (ერთი ფრანგი იძლეოდა ამ ფასს), ოზურგეთში 8—10 მან. გაჭირებით იძლეოდნენ. ივნისის პირველს რიცხვებში ოზურგეთში ფუთი პარკის ფასი იყო 10—12 მან.; ოზურგეთელი ამხანაგობა იძლეოდა ამ დროს ფუთს პარკში 12 მ. 40 კ.; ნიგოითში 12—13 მ. 65 კ., ლანჩხუთში 10—13 მ. 50 კ. ექვსი ივნისიდამ რამდენად აიწია ფასმა, არ მაქვს ცნობა, მაგრამ, როგორც გაზეთები სწერენ, პარკის ფასმა შემდეგ არამც თუ აიწია, დაიკლო კიდეც.

ამ წერილის ბოლოს უნდა აღვნიშნო, რომ მეაბრეშუმეობის მკვიდრ ნიადაგზე დაყენებისათვის საჭიროდ მიმაჩნია შემდეგი ღონისძიებანი:

ა) დაუყოვნებლივ უნდა ვიზრუნოთ თუთის ხის გავრცელებაზე ჩვენი ქვეყნის ყოველ მხარეში, სადაც კი ჰხარობს ის. ეს დიდად სასარგებლო ხე ყოველგან იზრდება ჩვენში, გარდა სვანეთ-ფშავ-ხევსურეთ თუშეთისა. ამ საქმის სისრულეში მოყვანა ისე ადვილია, რომ თამამად შეგვიძლიან დავავალოდ იგი იმ დაწესებულებათ, რომელნიც მოწოდებულნი არიან მეაბრეშუმეობის გავრცელებით ხალხს დახმარება აღმოუჩინონ. ეს დაწესებულებანი არიან: კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოება, ტფილისის საბრეშუმო სადგური, მეაბრეშუმეობის პირველი ამხანაგობა ქუთაისის გუბერნიაში, და გურიის „შუამავალი.“ თუ კი ბ-ნი ანჯაფარიძე ახერხებს და ბჟოლის ნერგებს ასაღებს ხალხში, მთელი დაწესებულებისათვის ეს საქმე ხომ სულ ადვილი უნდა იყვეს. *)

ბ) თესლის გაყიდვა უნდა დაუმორჩილდეს სრულს კონტროლს, რისთვისაც საჭიროა ეთხოვოს მთავრობას, რათა მანვე მიიღოს საჭირო ზომები თესლის სყიდვა-გასყიდვაში და დაადგინოს სასტიკი წესიერება ამ საქმეში.

გ) ამოსახვევი და საორთქლავი მანქანების სოფლებში შემოღება. თითოეულს სოფლის საზოგადოებაში რომ ერთი ამოსახვევ-საორთქლავი მანქანა გაიმართოს, ესეც დიდი საშველება იქნება სოფლელთათვის, რომელნიც იძულებულნი არიან მუქთად ჩაუგდონ ხელში სხვას თავისი ნაწარმოები.

დ) საიმედო ბაზრის აღმოჩენა ჩვენებური აბრეშუმის ნაწარმოებთათვის საზღვარ-გარეთ და შინ.

ე) ბეჭდვითი სიტყვის თუ სკოლების დახმარებით უსაჭიროესი ცნობების გავრცელება ხალხში აბრეშუმის ჭიების აღზრდა მოვლის შესახებ, რომელიც ერთი თვის ნაცვლად ორ თვეს ჰგრძელდება.

ივ. ხოტეველი.

---

*) იხ. „ივერია“ № 165.

*) ბ. ანჯაფარიძეს წელს რაჭაში გადაუტანია 40,000 ცალი ბჟოლის ნერგი; აქედამ უმეტესი წილი გაუსაღებია (100 ცალი ექვს შაურად) და დანარჩენი კი ისევ უკან წაუღია.

ქიზიყის ამბები.

შემდეგ დიდი ხნის გვალვისა, ქიზიყს აღირსა ღმერთმა წვიმა. იგი მოავლინა ქვეყნიერობას, როგორც მანანა ზეციერი. მართალია, მას აღარ ძალუძს გამოზრუნება ჩვენის ნათესობისა: ფეტვის, სიმინდის, ბამბა-თამბაქოსი, ბაღჩეულობისა და სხვ., რომლებიც სიცხემ მთლად მოხრუკა და გადასწვა, მაგრამ, უეჭველია, დიდს სიკეთეს მოუტანს სიცხისაგან დიდად გაჭირვებულს ვენახებს. თუ რომ ცოტა ხანს კიდევ გაგრძელებულიყო გვალვა, თქვენს მტერს, რაც ჩვენ საქმე დაგვემართებოდა; მთლად ხელიდგან გამოგვეცლებოდა ვენახები. პირველი წვიმა მოვიდა 27 ივლისს, და სწორე მოგახსენოთ, უკეთესიც აღარ შეიძლებოდა. იგი დაიწყო საღამოს ცხრა საათზედ და გასტანა მეორე დღის 11 საათამდის. მეორე დღე ჯანდიანი იყო. მესამე დღეს, 29 ივლისს, კიდევ გაიმეორა წვიმამ. თუმცა პატარა ხორხოშელაც მოატანა, მაგრამ არაფერი ვნება არ მოუტანია ვენახებისათვის. გაგრილდა ქვეყნიერება, გაიგრილა მუშა-მაშვრალმაც სიცხისაგან გახურებული შუბლი. ერთი ორი კვირის წინად რომ ღირსებოდა ქვეყნიერობას ასეთი წვიმა, მაშინ ჩვენ ხომ მშივრები აღარ დავრჩებოდით. ეხლა-კი ქიზიყი დაიმშა. ტყუილად-კი არ არის ნათქვამი: „თუ ფეტვი არ მოვიდა, ქვეყანა არ გაძღებაო“. როდემდის უნდა შევყურებდეთ ზეცას, როდემდის უნდა იყოს ჩვენი შრომა, გლეხის ოფლი დამოკიდებული ჰაერ ღრუბლების ყოფა-მდგომარეობაზედ.

წელს ქიზიყს, როგორც გთქვით, ცოტა პური და ბევრი ღვინო ექნება. ღმერთო კეთილად შემისმინე და ისეთი კარგი ვენახებია, რომ ღვთის თვალი შიგ ტრიალებს. არ გაირჩევა ნაწამლი და უწამლი. ცოტა არ იყოს, შეწუხდა ვენახები მხოლოდ ბარში: ხირსაზედ, ძველ-ანაგას, უარდაზში. ნაკლებად ასხია აგრეთვე იმ ვენახებს, რომლებიც შარშან დაისეტყვა. საზოგადოდ, ჩვენის ვენახების ყოფა-მდგომარეობის შესახებ კიდევ შემდეგში მოველაპარაკები მკითხველებს. ეხლა ვიტყვი მხოლოდ, რომ სიცხემ ყურძენი ადრე მოამწიფა, ასე ადრე მომწიფებული ყურძენი არასოდეს არ გვინახავს. 29 ივლისს მტევანი მთლად დამთავრებული იყო ხირსის, შახიასხევის, ქუმბათის ვენახებში, ასე რომ დესერტად მოსატანია იგი სადილზედ. მაშ, კარგი ღვინის იმედი უნდა გვქონდეს, რადგან გვალვის ღვინო მუდამ ნაქებია!

ქიზიყში ასე არა დროს არ გაჭირვებულა კალოობა, როგორც წელს. წარმოიდგინეთ, უკანამხარში ზოგიერთს ადგილს კიდევ შეხვდებით მოსამკალ ყანებს. ეს ყანების სიკეთეს როდი გამოუწვევია, არამედ იმან, რომ გული გაუტყდა მეოჯახეს. ეხლა აქ გაცხარებული ლეწვაა. საუბედუროდ, ლეწავს, ლეწავს გლეხი და ხვავი-კი არსად ჩანს. ექვს ურმის ნალეწს ექვსი საცალო არ გამოსდის. ასეთმა მოუსავლობამ ძალიან მაღალ ფასებში ასწია მოსავალი. ქერი გაიყიდა ორ მანათად კოდი, ე. ი. ფუთი 80 კაპეიკად. პურის ფასი ჯერ არ არის გაგებული. ფქვილი-კი წინამხარში, სადაც დიდი ხანია მოიმკეს და გალეწეს, ფასობს ფუთი ექვს აბაზად, ხოლო კოდი ოთხ მანათად.

25 ივლისს მოხდა სოფ. ქვემო-მაჩხაანში კრება ქიზიყის მეთამბაქოეთა, რომელთაც მოისურვეს დაიარსონ, მგზავსად მეცხვარეების და ცხვრის პატრონებისა, საკუთარი თამბაქოს საწყობი ქ. ტფილისში. კრებას დაესწრო 150 მეთამბაქოე ქიზიყის სხვა და სხვა დაბა-სოფლებიდგან. ბევრი რამ უწესრიგობა, უსწორ-მასწორობა თამბაქოს მოყვანა-გასყიდვის საქმეში გამოირკვა

ფელეტონი

ტრაგიკული ღამე.

ისტორიული მოთხრობა

ერნესტო დოდესი.

I

ენკენისთვის ერთს საღამოს 1800 წელს ძველ ციხე-დარბაზის მახლობლად, რომელიც ერთ-ერთ გორაკთაგანზედ იყო აშენებული, რომელნიც თითქოს სადარაჯოთ გარშემორტყმოდნენ სოფელს ერიკურ-ანკოს, ქვის ჩამოსაჯდომზედ იჯდა ახალგაზდა ქალი და რაღაცის გამო მეტად დაფიქრებულიყო.

ჩამავალ მზის უკანასკნელს სხივებს სისხლის ფრად შეეღებათ „პარკის“ *) ძველ ხეების წვეროები და ციხე-დარბაზის კრამიტით დახურულს ბანს უკანასკნელად შესთამაშებდნენ.

საღამო იყო მშვიდი. არც ერთი ფურცელი არ იძროდა. რაღაცა იდუმალს სიჩუმეს მოეცვა იქაურობა.

მარტო პატარა მდინარის დიურდაპის ჩურჩული თუ დაარღვევდა ამ სიჩუმეს, რომელიც იქავ გვერდით ჩამოუდიოდა პარკს და რამდენისამე მილის სიშორეზედ, ქვევით უერთდებოდა ზღვას. მას სასიამოვნოდ ამწვანებოდა ნაპირები და მთელი ის მიდამო ერთობ თვალწარმტაცს სურათს წარმოადგენდა.

საღამოს ნისლი თხელს ფარდასავით ეფინებოდა მიწას. ბინდი თანდა-თან ეშვებოდა დედამიწაზედ და დამარცხებული დღე ღამეს უთმობდა ადგილს.

ახალგაზდა ქალი ჩაფიქრებული იჯდა ქვაზედ და არ იძროდა. იმის ნაზს სახეს რაღაც გაუგებარი მღელვარება დასტყობოდა. მძიმედ ჰქშინავდა, ხელები ძირს ჩამოსცვივნოდა და თავი დაღონებით ძირს დაეხარა. შავს კუპრსავით თვალებში რაღაც გამოუთქმელი დარდ-ნაღველი იხატებოდა. ეტყობოდა, ამ იდუმალს სიჩუმეს, პატარა მდინარის ჩუხ-ჩუხს მოეხიბლა, მოეჯადოებინა მშვენიერი ქმნილება და ისიც დამტკბარი ამ საერთო ჰარმონიით გატაცებით მისცემოდა ოცნებას. ადვილად შეატყობდით, რომ ის უნდა ჰკუთვნებოდა ერთ ერთ იმ მგრძნობიარე არსებათაგანს, რომელნიც შეწუხებულნი რომელისამე გარეგან მიზეზით, რომლის აცდენა, ან დათრგუნვა არ ძალ უძთ, ყოველთვის ეძებენ განმარტოვებას და ამ დროს სიამოვნებით ეძლევიან ტკბილს ოცნებას.

ქალი ამ ყოფაში იყო, რომ მოულოდნელად მოესმა ფეხის ხმა ხეივანში, რომელიც ციხე-დარბაზს სოფელთან აერთებდა და ტკბილ ოცნებიდგან გამოერკვა. გასწორდა, თითქოს ეშინოდა, არავინ შემატყოს ეს წუთიერი სისუსტე სულისაო, და ხმა-მაღლა ჰკითხა:

— თქვენა ხართ, კლემან?

მაგრამ რადგან პასუხი არავინ გასცა, წამოდგა და ერთს წამს გაემართა იქითკენ, საიდგანაც ხმაურობა მოესმა. გაიხედა სოფლისაკენ და შორს, ბურუსით მოცულს ხეივანში ვიღაც უცნობი დაინახა, რომელიც მარდად მოაბიჯებდა იმისკენ.

წამს შემდეგ ქალმა უფრო უკეთესად გაარჩია უცნობი. ის იყო მაღალის ტანისა, მხარ-ბეჭ-გადგმული. ტანთ მიხაკის ფერი სერთუკი ეცვა, შლიაპაც ამავე ფერისა ეხურა. მაღალ-ყელიან ჩექმებში ჩაეტანებინა შალვრის ტოტები. ის ერთობ ისე იყო ჩაცმული, რომ არავის ყურადღებას არ მიიქცევდა, თუმცა-კი, კარგად რომ დაჰკვირვებოდით, ადვილად შეატყობდით, რომ ის უბრალო ხალხს არ უნდა ჰკუთვნებოდა, რადგან მისის სახის ამპარტავნული გამომეტყველება, მისი მიხვრა-მოხვრა აშკარად ამტკიცებდა, რომ ის შთამომავლობით კეთილ-შობილი უნდა ყოფილიყო, თუმცა-კი მისი გამტვერიანებული და გაცვეთილი ტანთსაცმელი სულ სხვას გაფიქრებინებდათ.

ამ უცნაურის შეხვედრით გაკვირვებულმა ახალ-გაზდა ქალმა ჰკითხა:

— რა გნებავთ, ვინა ბრძანდებით?

მაგრამ უცნობი, იმის მაგივრად, რომ პასუხი მიეცა თავისის მხრივ, შეეკითხა ქალს და ხმაში აშკარად დაეტყო ხვეწნა-მუდარა.

— კლარი, დავიჯერო იმდენად გამოვიცვალე ამ რვა წლის განმავლობაში, რომ ვეღარა მცნობ?

ახალგაზდა ქალმა წაიწია წინ, რომ უფრო კარგად გაერჩია მოლაპარაკე, მაგრამ გაფითრებული მაშინვე უკან მიაწყდა და ხმის კანკალით ჰკითხა:

— თქვენა, თქვენა ხართ ალბერ?

— მე ვარ—ალბერ სენ-ფრემონი.

— მერე აქ რამ მოგიყვანათ, უბედურო?

— გთხოვთ რამდენისამე საათით დამმალოთ. მდევნიან და გამოვიქეც. პირველი კონსულის წინააღმდეგ შეთქმულობაში მონაწილეობის მიღების ბრალი დამდეს და ეხლა პოლიციის აგენტები დამდევენ დასაჭერად. ეს ორი დღეა, რაც პარიჟიდამ გამოვიქეც იმ იმედით, რომ სენ-ვალერიმდის მივაღწევდი როგორმე და აქ-კი მომეცემოდა საშუალება ინგლისში გავქცეულიყავ. ორი დღეა დღე-და-ღამ მოვრბივარ, არსად შემისვენია და შიმშილით ლამის სული ამომძვრეს. ძალიან დავიღალე სიარულის თავი აღარა მაქვს და თუ ცოტა არ შევისვენე, აქედან ვეღარსად წავალ. შორიდგან, რომ მოვდიოდი, ამ ციხე-დარბაზს შევკარ თვალი. მომაგონდა, რომ ოდესღაც აქ ისე ვიყავ მიღებული, როგორც მეგობარი ოჯახისა, რომელიც აქ სცხოვრებდა, როგორც საქმრო, და რომ ახალგაზდა ქალი, რომელიც აქ თავისს დედმამასთან იმყოფებოდა, დამპირდა მოეცადა ჩემთვის, ჩემს დაბრუნებამდის; და აი მეც მოვედ, მხოლოდ იმისთვის კი არა, რომ გაგახსენო დაპირება, რომელიც დროთა სვლას, ჩემს აქ არა ყოფნას და იმ უბედურებათ, რაც-კი მე დამატყდა თავს, შეეძლოთ შეეცვალათ, არამედ იმისთვის, რომ ვთხოვო მომცეს თავშესაფარი. თუ არ დამთანხმდი ამას კლარი, დავიღუპე.

ქალი სასოწარკვეთილებით იმტვრევდა ხელებს. მღელვარებას იქამდე დაესუსტებინა საბრალო ქალი, რომ სისუსტისაგან ძლივს-ღა იდგა ფეხებზედ. ბოლოს ხმის კანკალით ძლივს წარმოსთქვა.

— თქვენ მიგიღოთ! არა, ეგ შეუძლებელია! ჩემს გარდა აქ ჩემი ქმარიც სცხოვრობს, რომლის მოსვლას წუთი-წუთზედ მოველი. იმან რომ აქა გნახოთ, უეჭველად გაგცემთ. ის სულითა და გულით თანაუგძნობს ბონაპარტს. **).

ალბერი როგორღაც გასწორდა წელში.

— თქვენი ქმარი! განა გათხოვდით კიდეც?

ამ სიტყვებში გამოითქვა მთელი მისი დარდი, ნაღველი, მთელი მისი ყვედრება.

— ნუ სჩქარობთ ჩემს გამტყუნებას,—გააწყვეტინა კლარიმ. თუ მე თქვენ დაგთმეთ და ისე ვაჩვენებდი თავს, ვითომ თქვენ დაგივიწყეთ, აღარ მახსოვდით, გარწმუნებთ, რომ იძულებული ვიყავ ასე მოვქცეულიყავ. დიახ, სასტიკმა საჭიროებამ მა-

---

*) პატარა ტყე ანუ ბაღი, ხეივნებად დაყოფილი.

**) ნაპოლეონ პირველი.

დრობომარ სვილოკოსიჩი, რომელსაც მჭიდრო კავშირი ჰქონია მილანის წინააღმდეგ შეთქმულობაში კნეჟევიჩთან, როდესაც ეს უკანასკნელი, სანამ ბოროტ-მოქმედებას ჩაიდენდა, ბუხარესტში იყოო. სვილოკოსიჩი უარს ამბობს იმის შესახებ, რომ რამე დამოკიდებულება ჰქონოდეს კნეჟევიჩთან. ის იმასაცკი ამტკიცებს, რომ კნეჟევიჩის ყოფნის დროს ბუხარესტში, მე სრულებით არ ვყოფილვარ იქო. რადგან საქმე ასეთს მდგომარეობაშია და სერბიის მთავრობასაც უტყუარი საბუთები ვერ წარუდგენია კნეჟევიჩის დანაშაულობის შესახებ, რუმინიის მთავრობამ არ დააკმაყოფილა სერბიის მთავრობის თხოვნა. კნეჟევიჩის მამას 1868 წ. მონაწილეობა მიუღია სერბიის მაშინდელ მთავრის მიხეილ ობრენოვიჩის მოკვლაში.

—

ჩინეთი. გაზეთების სიტყვით, რა კონცესიებიც მისცა ჩინეთის მთავრობამ ინგლისის სხვა-და-სხვა ამხანაგობას მადნებისა, ქვა ნახშირისა და ნავთის წყაროების დამუშავების შესახებ, ჯერ არც ერთის განხორციელებას არ ჩქარობენ თურმე ინგლისელები. ამ უკანასკნელთ აგრეთვე არაფერი გაუკეთებიათ თურმე ჯერ ჩინეთის მდინარეებში ნაოსნობის გასაძლიერებლად, თუმცა ამის ნებართვაც აქვთ აღებული ჩინეთის მთავრობისაგან. ჩინეთს ეს კონცესიები იმიტომ გაუცია, რომ მას არწმუნებდნენ თურმე, რომ ჩინეთის ბუნებრივ სიმდიდრის დამუშავება ინგლისელების მიერ დიდად გააძლიერებს სახელმწიფოს შემოსავალსაო. ეხლაკი ნანობენ ჩინელები და ეჭვი შეჰპარვიათ, რომ ინგლისის სინდიკატები როცა კონცესიას თხოულობდნენ, უფრო ლონდონის საფინანსო ოპერაციები ჰქონდათ მხედველობაში, ვიდრე აუარებელი მადნეულობის დამუშავება შანსისა და ხანანშიო.

—

სპარსეთი. „პეტერბურგის უწყების“ სიტყვით, როგორც კონსტანტინოპოლიდგან უცნობებიათ „Intern. Corr.“-სათვის, ოსმალეთის დიპლომატიურს წრეებში ხმა ყოფილა გავრცელებული, რომ სპარსეთის შახი ძლიერ ავად არისო, მაგრამ რა სნეულებას შეუპყრია ირანის მბრძანებელი, ამის შესახებ-კი ერთი მეორეს არ ეთანხმებიან. თეირანიდგან მოსულთ უამბნიათ, რომ მის უდიდებულესობას ფილტვები სტკივა და არც შეიძლება მისი გადარჩენაო. სხვებს-კი უთქვამთ, რომ იმას სულიერი ავადმყოფობა აქვსო.

—

იაპონია. იაპონურ გაზეთის „კოკუმინ შიმბუნის“ სიტყვით იუწყებიან გაზეთები, რომ იაპონიის სახალხო განათლების მინისტრს აზრათ აქვს კიდევ ორი უნივერსიტეტი დააარსოს: ერთი კუმოტატოში და მეორე სენდაიში. თითო უნივერსიტეტისათვის გამოანგარიშებული ყოფილა ხარჯად 2.600,000 იენი.

დამაკვირდი

—

სარწმუნოება, ენა და მამული სახელმწიფო შენობის ზედადგარია.

ლასურიძე

* * *

ვითარცა ჩუენ სხუათა მიერ მოგვიღებიეს სარგებელი, ეგრეთცა ჩუენ სხუათა სარგებელ გვეყოფოდით რაოდენ მალგუშდვას.

ეფრემ მცირე

* * *

თუ მოგხვდეს უფლება მტერთა შენთა ზედა, უსამართლოსა ნუ ჰყოფ, რათა მიიღო მადლი და ქება.

საეკლ. მუზ. № 153

ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ფლორიდაში (ამერიკაშია) აღმოუჩენიათ ერთ-გვარი ობობა, რომელიც როცა უნდა უჩინარი გახდება თურმე. ჩვენში რომ ნატრობენ ხოლმე „უჩინ-მაჩინის ქუდი მომცაო“, როგორც ეტყობა, ამ ობობასა ჰქონია უჩინ-მაჩინის ქუდი. ობობა მაშინ ხდება თურმე უჩინარი, როდესაც რაიმე განსაცდელი მოელის თურმე.

* * *

როგორც გაზ „Варш. Дн.“-ი იუწყება, ერთს ვარშაველს ელექრო-ტეხნიკოსს მეტად მოხერხებულად გამოუყენებია ედისონის ფონოგრაფი. ისე მოუწყვია ამ ელექტრო-ტეხნიკოსს ფონოგრაფი, რომ იმის შემწეობით ქურდ-ბაცაცა ეგრე ადვილად ველარ შეიპარება სახლში და ვერ მოიპარავს ნივთებს. ამისათვის საკმაოა ფონოგრაფი შეუერთონ ხოლმე იმ ზარს, რომელიც ჩვეულებრივ შესავალ კარებშია. ფონოგრაფი' სადაც გსურთ, იქ დადგით: ფანჯარაზედ' ოთახში, ბალკონში ან სხვაგან სადმე. დაუპატიჟებელი სტუმარი კარებს გააღებს თუ არა, ფონოგრაფი მაშინვე ყვირილს მორთავს: „არიქა ქურდები! დაიჭით!“ და სხვა. რა სიტყვაზედაც მოაწყობთ, ფონოგრაფი იმ სიტყვას დაიწყებს ყვირილს.

* * *

ერთი ინგლისელი მეცნიერი ამას წინად დაბეჭდილ თხზულებაში ამტკიცებს, რომ ნადირის კლანჭებში სიკვდილი სასიამოვნო რამ არის: კაცი არავითარ ტკივილს არა ჰგრძნობსო. თავისს სიტყვების დასასაბუთებლად მეცნიერს მრავალი საბუთი მოჰყავს. ერთ ინგლისელ მონადირეს აი, მაგალითად, რა უამბნია: „ერთხელ სანადიროდ ვიყავი. ტყეში უცებ ძუ-ლომი მომვარდა და მაშინვე ქვეშ ამომიდო. იმავე წუთს გრძნობა დავკარგე. გონს მოვედი მხოლოდ მაშინ, როდესაც ამიყვანეს და ხელით სხვაგან წამიღეს. თუმცა მრავალს ადგილას ვიყავი დაჭრილი, მაგრამ პირველ ხანს არავითარ ტანჯვას არა ვგრძნობდი და მხოლოდ რამდენისამე დღის შემდეგ ამივარდა ტკივილი“. ერთ ინგლისელს აფიცერს კიდევ უთქვამს: „როდესაც ლომი დამეცა და თავისი მძლავრი კლანჭები მაგრად ჩამჭიდა, არავითარი ტკივილი არ მიგვრძნია. კარგად ვხედავდი, რომ ლომი მკბენდა. თუმცა გული არ შემღონებია, მაგრამ ტანჯვაც არავითარი არ მიგვრძვნია“. ამ აფიცერს, ლომის კლანჭებში მყოფს, იმდენად შერჩენია გონება, რომ ამოუღია ჯიბიდგან ორი ტყვია და გადაუგდია იქვე მოშორებით მდგომ მოსამსახურესათვის, რომელსაც მაშინვე თოფი გაუტენია და დაუხლია ლომისათვის. ერთს საავადმყოფოს ექიმს უამბნია, რომ ჩემს საავადმყოფოში ხშირად მოჰყავთ ხოლმე დათვებისაგან დაჭრილი კაცები. ყველა ამ დაჭრილთაგანს ის უთქვამს, რომ არავითარ ტკივილსა და ტანჯვას არა ვგრძნობდი იმ დროს, როდესაც ნადირი დამეცა და კბენა დამიწყოო. ნადირობის დროს ერთხელ ვეფხვი ერთ მონადირეს ზურგზედ შეახტა და გვერდში ძალიან მძიმედ დასჭრა. დაჭრილმა მხოლოდ ექვს საათს იცოცხლა. „ზტკივათ რამე? ძალიან იტანჯებით?“—ჰკითხეს დაჭრილს. „პირ იქით, არავითარ ტკივილსა და ტანჯვას არა ვგრძნობ. მხოლოდ ცოტათი მცივა“, მიუგო თურმე მომაკვდავმა მონადირემ.

* * *

ინგლისში ერთი კარგად შეძლებული კატა ყოფილა. ამას წინად იქ გარდაიცვალა ვინმე ქ-ნი დეფლერი. ამ ქალბატონს თავისს ქონებიდგან უანდერძნია 300 ფრანკი ყოველ წლივ იმისთვის, ვინც იკისრებს ამ განსვენებულის მანდილოსანის პატარა კატის, სახელად „ფინეკს“, შენახვასა და პატრონობას. კატის სიკვდილის შემდეგ, თანხა, რომელიც ერთ-ერთ ბანკში ინახება, უნდა მოხმარდეს იმ უბნის ღარიბებს, სადაც ქ-ნი დეფლერი დაიბადა.

* * *

ამ დღეებში ბუდა-პეშტის უნივერსიტეტმა პირველად მიანიჭა ქალს, ვინმე სოფიო ტორმას, ფილოსოფიის საპატიო დოქტორის ხარისხი.

* * *

როგორც ერთი რუსული გაზეთი იუწყება, ქ. დმიტროვსკაში სცხოვრობს თურმე ერთი 126 წლის მოხუცი გლეხი როდიონ მედვედევი. ეს მედვედევი მეთვრამეტე საუკუნეში უყიდნია ერთის ბატონისაგან ვინმე მემამულეს მიკულშინს. შემდეგ მიკულშინს ქალი მიუთხოვებია ვინმე პლოტნიკოვისათვის და მედვედევი მზითევში გაუყოლებია. შემდეგ მედვედევი კიდევ რამდენისამე „ბატონის“ ხელში გადასულა, ვიდრე ბატონყმობა გადავარდებოდა. ყველა ეს „ბატონები“ კარგა ხანია გასდგომიან გზას იქითკენ, სადაც მართალნი განისვენებენ. 1812 წელს მედვედევი ცოტას ხანს ჯარის-კაცადაც ყოფილა. ხელობით ხან ლაქიობას ვასრულებდი, ხან მზარეულობას, მებაღეობას, მეეტლეობას და მრავალს სხვასაო, უთქვამს მედვედევს. მოხუცს ამ ჟამად ყურთ კარგად აღარ ესმის, ხედვით-კი ჯერ კიდევ კარგადა ხედავს თურმე.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 აგვისტო.

პეტერბურგი. უწმიდესის სინოდის ობერ პროკურორი, წავიდა-რა პეტერბურგიდგან, სინოდის ობერ-პროკურორის თანამდებობის აღმასრულებლობა გარდასცა თავისს ამხანაგს სენატორ საბლერს.

რენი. ხმა დადის, რომ როცა ლაბორი მიწაზე დაეცა, ორი კაცი, რომელნიც იმალებოდნენ იმ დროს, როცა მას სასიკვდილოდ თავს დაესხნენ, მივარდა დაჭრილს და რაც ქაღალდები ჰქონდა ყველა წაიღეს. ლაბორის წინააღმდეგ შეთქმულება ყველას ზიზღსა ჰგვრის რენში. მერმა წერილობით მიჰმართა მცხოვრებლებს, რომელშიაც ჰკიცხავს შეთქმულებს.

პარიჟი. პოლიციამ დატუსაღა მასსონი, ანტისემიტთა დეპუტატის მორინოს მდივანი, ბონაპარტისტი ლობიენი და კიდევ ერთი კაცი, რომელიც შეთქმულობაში ერია.

ლემანსი. პოლიციის კამისარმა დაატუსაღა რკინის გზის სადგურზე ვინმე გალენი, ზღვის მეხანიკი, რენიდგან გავრში მიმავალი, რომელიც ნიშნებით იმ კაცს წააგავდა, რომელმაც ლაბორის დამბაჩა ესროლა.

პარიჟი. ყველა გაზეთები ჰკიცხავენ ლაბორის წინააღმდეგ შეთქმულობას.

ლისაბონი. ოპორტოში 33 მაგალითი იყო შავი ჭირით ავათ გახდომისა. ახლად არავინ გამხდარა ავად.

რენნი. ერთი კაცის ჩვენებით, რომელსაც თავისის თვალით უცქერია, გამოირკვა, რომ დილის 5 საათზე 3 საეჭვო კაცი შეუმჩნევიათ ლაბორის სახლთან. მას მრავალი ხელმოუწერელი წერილი მიუღია, რომელშიაც ემუქრებოდნენ; ორს იმ წერილთაგანში ნათქვამი ყოფილა, რომ მოგკლავთო. დაჭრილი ძლიერ გაცივა, ექიმებს ეშინიათ, რომ ხერხემლის ტვინი გაფუჭებული არ ჰქონდესო.

ლემანსი. მეხანიკმა გალენმა დაამტკიცა თავისი alibi და განთავისუფლებულ იქმნა.

რენნი. ლაბორის მთელი ღამე არ სძინებია და ძლიერ იტანჯება, მაგრამ ციება არ აქვს. დამნაშავის შესახებ არავითარი ცნობა არ არის.

პარიჟი. ანტისემიტთა ლიგამ სალამოთი პატრიოტებს მიჰმართა წერილობით, რომელშიაც თხოულობს, რომ პარიჟის მცხოვრებლებმა ანტისემიტებთან ერთად იმოქმედონ, რომელნიც კარ-ჩაკეტილნი არიან შაბროლის ქუჩაზედაო. რაც უნდა მოუვიდესთ მათო,—ნათქვამია შემდეგ წერილში,—ჩვენ შეგვიძლიან შევასრულოთ ჩვენი მოვალეობა და მზათა ვართ თავი დავდვათ თავისუფლებისათვისო“.

პოლიციის უფროსის თანაშემწე გამერი დღეს, დილის 4 საათსა 20 წ., მივიდა გერენის სახლში და ბრძანება მიიტანა დატუსაღების შესახებ. გერენმა უარი განაცხადა ბრძანების მიღების შესახებ და სთქვა, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე წინააღმდეგობას გავსწევო და მზათა ვარ მოვკვდე, ვინემ დავმორჩილდე პოლიციასო. მას შემდეგ, რაც გერენს ეუწყა ბრძანება დატუსაღების შესახებ, ის მეამბოხეთ ითვლება და ამიტომ სასტიკი ბრძანებაა გაცემული დაატუსაღონ ყველა, რომელიც მოინდომებს შაბროლის ქუჩაზე სახლიდგან გამოსვლას ანუ შესვლას. სამი ამხანაგი მერენისა, რომელნიც დილით სახლიდგან გავიდნენ, დატუსაღებულ იქმნა; იმათ აღმოაჩნდათ რევოლვერები და ცულები.

ტრომსე. აქ მოვიდა თევზების მჭერელი გემი „Cecilia“, გემი სავინის კუნძულებთან, აღმოსავლეთ გრენლანდიის მახლობლად, შეხვედრია ნატგორსტის ექსპედიციას, რომელსაც დღემდის ვერავითარი კვალი ვერ უპოვნია ანდრესი. ნატგორსტი უილიამსის ბუხტისაკენ მიემართება.

ნიში. გამოქვეყნებულ იქმნა რესკრიპტი მეფე ალექსანდრესი მინისტრ პრეზიდენტის მიმართ. რესკრიპტში ნათქვამია, რომ სერბიის წარმატებამ 1897 წელს მართვა-გამგეობის საქმეში სერბიის მტერთა უკმაყოფილება გამოიწვია, რაიც გამოიხატა იმით, რომ მილანის წინააღმდეგ ბოროტი განიზრახეს. სერბიამ დაანახვა ყველას, რომ შეუძლიან არსებობა, როგორც დამოუკიდებელს სახელმწიფოს. მეფემ თავისი სიცოცხლე შესწირა ხალხის კეთილ-დღეობას და სახელმწიფო პროგრამის განხორციელებას.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების გამგეობამ მიიღო 1899 წლის ივლისის თვის განმავლობაში:

1, საწევრო ფული:

1, თ. სვიმონ რევაზის ძე გახვახიშვილისაგან 6 მან., 2, დავით გიორგის ძე გაგლოშვილისაგან 6 მან. სულ 12 მან.

2, ყუთებით შეგროვილი ფული:

1, ვასილ ბურჯანაძისაგან 2 მ. 43 კაპ., 2, სოფიო ბილანაშვილისაგან 1 მ. 22 კ. სულ 3 მ. 65 კ.

3, შემოწირულობანი:

1, ივანე სპირიდონის ძე ჯაბადარისაგან 17 მ. 96 კ., 2, აბელ იაშვილისაგან დუშეთში გამართულის წარმოდგენის შემოსავალი 37 მან. სულ 54 მ. 96 კ.

გამგეობა დიდს მადლობას უძღვნის ფულის შემომწირველთ.

განცხადებანი

ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ მისის თანადასწრებით 20-ს აგვისტოს მოხდება საჯარო ვაჭრობა იჯარისა, რომლითაც მოიჯარადრემ ქალაქს უნდა მისცეს 12,000 ფუთი ნავთი ქუჩების გასანათებლად. ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება ჰსურს, შეუძლიან გაიცნოს პირობები გამგეობის კანცელარიაში ყოველ საქმის დღეს, დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 1-ლ საათამდე.

(3—6.—2)

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!!

ჰიგიენური

ბორნო-ცეიმოლის საპონი

გ. ფ. იურგენსისა

აქრობს ჭორფლს, სიცხისაგან დაწვას, ყვითელს ლაქებს, ფერის მჭამელასა და მეჭეჭებს, აგრეთვე სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილსუნნელოვანი და მაღალის ხარისხისას, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი 1895 წ.

ფასი თითო ნაჭერისა 50 კაპ., ½ ნაჭერი 30 კაპ.

იყიდება ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

პირველი საწყობი მთელის რუსეთისათვის გ. ფ. იურგენსონს მოსკოვში აქვს. დეპო ტფილისში აღმუროვთან, კავკასიაში სააფთიაქო ნივთებით მოვაჭრე ამხანაგობასთან, ცურინოვთან, გრივნაკთან, ძმ. პოპოვებთან და არისტაკოვთან. (24—მ.—15)

[illegible]

ჩვენ გამოცემული გვაქვს საუკეთესო

პაპიროზის ქაღალდები

ყაზბეგისა და მამია გურიელის სახეების ზედ გამოხატვით.

მათი ყალბი მიმსგავსება უკვე გამოვიდა.

სიყალბეს ერიდეთ!

სავაჭრო სახლი „ი. გოკიელოვის შვილები“, ქუთაისი.

(10—6)

[illegible]

Дозволено цензурою, Тифлисъ 4 го Августа 1899 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.